

**ფენოქსიპროპიონის მჟავას ქირალური ნაწარმების ენანტიომერული ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით**

**ანა ლიბრაძე, ბეჟან ჭანკვეტაძე**

**ფიზიკური და ანალიზურიქიმის კათედრა, ზუსტ და საზუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ფენოქსიპროპიონის მჟავას ნაწარმები ფართოდ გამოიყენება როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შხამქიმიკატები (ძირითადად ჰერბიციდები).სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ფენოქსიპროპიონის მჟავას ნაწარმების უმრავლესობა ქირალურ ნივთიერებებს წარმოადგენს და დღესდღეობით ძირითადად შეუსწავლელია მათი მოქმედების, სასოფლო სამეურნეო კულტურებში აკუმულირების და ბიოდეგრადაციის ენანტიოსელექტიური ასპექტები.ამ საკითხების კვლევისათვის აუცილებელია ფენოქსიპროპიონისმჟავას ნაწარმების ენანტიოსელექტიური ანალიზის მეთოდების დამუშავება.

წინამდებარე სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ფენოქსიპროპიონის მჟავას ქირალური ნაწარმების ენანტიომერების დაყოფის მეთოდების დამუშავება სითხურ ქრომატოგრაფიაში ახალი ტიპის პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების და პოლარულ-ორგანული, ნორმალური და შებრუნებულ ფაზიანი ელუენტების გამოყენებით.განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ენანტიომერების ელუირების რიგის და ამის საფუძველზე ქირალური გამოცნობის მექანიზმების